ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულო
G E O R G I A
CITY COUNCIL OF LENTEKHI MUNICIPALITY

ოქმი:ო97. 97233352
თარიღი:01/12/2023

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

მორიგი სხდომა N-19

დ. ლენტეხი. 29 ნოემბერი.2023წ

მიმდინარე წლის 29 ნოემბერს ჩატარდა ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომა. საკრებულოს სხდომას უძღვებოდა საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი გაზდელიანი. საკრებულოს სხდომას ესწრებოდა საკრებულოს 15 (თხუთმეტი) წევრი. საპატიო მიზეზით არ ესწრებოდა 6(ექვსი) წევრი.

საკრებულოს სხდომას ესწრებოდნენ: მერის მოადგილე ზვიად ლობჟანიძე, მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის იურიდიული სამსახურის უფროსი ტარიელ აფაქიძე, საფინანსო სამსახურის უფროსი ტახუ ჩანქსელიანი, შიდა აუდიტის სამსახურის უფროსი გერმან ქურასბედიანი, სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის უფროსი ხათუნა ლიპარტელიანი, ინფრასტრუქტურის და არქიტექტექტურის სამსახურის უმცროსი სპეციალისტი მაიზერ ლიპარტელიანი. საკრებულოს სხდომას ესწრებოდა საკრებულოს პირველადი სტრუქტურული ერთეულის (აპარატის) ხელმძღვანელი მაყვალა ჩანქსელიანი.

სხდომის თავმჯდომარემ გიორგი გაზდელიანმა სხდომის წევრებს გააცნო საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტი შემდეგი სახით:

1.ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის შიდა აუდიტის სამსახურის დებულების დამტკიცების თაობაზე.

/მომხს. მერიის იურიდიული სამსახურის უფროსი ტარიელ აფაქიძე/;

/თანამომხსენებელი: საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ლამზირა გუგავა/

2. კერძო სამართლის არასამეწარმეო (არაკომერციული)იურიდიული პირის ლენტეხის ადგილობრივი სამოქმედო ჯგუფის (Lentekhi Local Action Group) დაფუძნებაში მონაწილეობისა და მასში გაწევრიანების თაობაზე გადაწყვეტილების მიზანშეწონილობაზე ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე.

/მომხს. მერიის იურიდიული სამსახურის უფროსი ტარიელ აფაქიძე/;

/თანამომხსენებელი: საკრებულოს ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა თავმჯდომარე დალი ტვილდიანი./

3. ,,მდინარე ლასკადურაზე მჟავე წყლის ხიდის და ნაპირსამაგრი კედლების მოწყობა-რეაბილიტაციის პროექტის მოწონების თაობაზე“.

/მომხს. მერის მოადგილე ზვიადი ლობჟანიძე/

/თანამომხსენებელი. საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე სოსო ავალიანი/

4. ,,სოფელ სასაში ნაკიჩხულაშის უბანში გზის რეაბილიტაციის მოწყობის პროექტის მოწონების თაობაზე“.

/მომხს. მერის მოადგილე ზვიადი ლობჟანიძე/

/თანამომხსენებელი: საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე სოსო ავალიანი/

5. ,,სოფელ რცხუმელურში სანიაღვრე არხის მოწყობის პროექტის მოწონების თაობაზე“.

/მომხს. მერის მოადგილე ზვიადი ლობჟანიძე/

/თანამომხსენებელი:. საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე სოსო ავალიანი/

6. სოფ. კახურაში სასოფლო გზის ბეტონის საფარით მოწყობის პროექტის მოწონების თაობაზე.

/მომხს. მერის მოადგილე ზვიადი ლობჟანიძე/

/თანამომხსენებელი:. საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე სოსო ავალიანი/

7. სიმსივნით დაავადებული სოფ. ლექსურაში მცხოვრები ნანა მეშველიანისთვის დახმარების გაწევის თაობაზე.

/მომხს. საკრებულოს სოც. საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ზურაბ ონიანი/

8. სხვადასხვა.

დღის წესრიგთან დაკავშირებით შენიშვნა არ ყოფილა.

ღია კენჭისყრის შედეგით: მომხრე -15 წინააღმდეგი -0

დაადგინეს: დამტკიცდეს საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით.

1.მოისმინეს: მერიის იურიდიული სამსახურის უფროსმა ტარიელ აფაქიძემ სხდომის წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი - **ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის შიდა აუდიტის სამსახურის დებულების დამტკიცების თაობაზე.**

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ინსპექტირების განყოფილება შეიცვალა შიდა აუდიტის განყოფილებით.შიდა აუდიტის განყოფილება ახორციელებს სამსახურის სტრატეგიული და წლიური გეგმებით გათვალისწინებულ შიდა აუდიტორიულ შემოწმებებს, ადგენს და სამსახურის უფროსს დასამტკიცებლად წარუდგენს შესაბამის ანგარიშებს, ახორციელებს წინა აუდიტორიული შემოწმების პერიოდში ობიექტისათვის მიცემული რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგს.

შეკითხვა დასვა : საფინანსო კომისიის თავმჯდომარემ ლამზირა გუგავამ ფინანსურ ხარჯების გაზრდას ხომ არ იწვევს ეს პროცესი?

მომხსენებელმა განმარტა, რომ ეს ცვლილება არ არის დაკავშირებული ფინანსურ ხარჯებთან.

დადგენილების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნა არ ყოფილა.

ღია კენჭისყრის შედეგით:

მომხრე -15

წინააღმდეგი -0

დაადგინეს: დამტკიცდეს ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის შიდა აუდიტის სამსახურის დებულება წარმოდგენილი სახით.

2.მოისმინეს: მერიის იურიდიული სამსახურის უფროსმა ტარიელ აფაქიძემ სხდომის წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი - **კერძო სამართლის არასამეწარმეო (არაკომერციული)იურიდიული პირის ლენტეხის ადგილობრივი სამოქმედო ჯგუფის (Lentekhi Local Action Group) დაფუძნებაში მონაწილეობისა და მასში გაწევრიანების თაობაზე გადაწყვეტილების მიზანშეწონილობაზე ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე.**

მომხსენებელმა განმართა, რომ lag-არის ინოვაციების ცენტრი. ორიენტირებულია სოფლის მეურნეობის განვითარებაზე და მოსახლეობის სიღარიბის დაძლევაზე.. პროექტის ხანგრძლივობა არის 36 თვე.

შეკითხვა დასვა ლამზირა გუგავამ: საჯარო მოხელეებს თუ აქვთ მონაწილეობის უფლება?

მომხსენებელმა პასუხად აღნიშნა, რომ შეზღუდვა არ არის იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ ეს არის პროცესი, სადაც მონაწილეობენ ანაზღაურების გარეშე.

აზრი გამოთქვა: სახდომის თავმჯდომარემ - გიორგი გაზდელიანმა - უნდა შეირჩეს პრიორიტეტული მიმართულებები, რომელიც წაადგება რაიონს. ეს ორგანიზაცია დაფუძნებულია, მუშაობს და ახლა ექნება სამართლებრივი საფუძველი, რომ იმუშაოს ხალხის საკეთილდღეოდ.ის თანამშრომლობს მუნიციპალიტეტთან და წაადგება რაიონს.

სოსო ავალიანი: რა ფორმით ხდება გაწევრიანება?

მომხსენებელმა განმარტა, რომ გაწევრიანების პროცესი ხდება ელექტრონულად.

სხვა კითხვა არ ყოფილა.

სხდომის თავმჯდომარემ საკითხი დააყენა ღია კენჭისყრაზე.

ღია კენჭისყრის შედეგით;

მომხრე -15

წინააღმდეგი -0

გადაწყვიტეს: მიეცეს თანხმობა მერს - კერძო სამართლის არასამეწარმეო (არაკომერციული)იურიდიული პირის ლენტეხის ადგილობრივი სამოქმედო ჯგუფის (Lentekhi Local Action Group) დაფუძნებაში მონაწილეობისა და მასში გაწევრიანების თაობაზე გადაწყვეტილების მიზანშეწონილობაზე.

3.მოისმინეს: მერის მოადგილემ ზვიად ლობჟანიძემ სხდომის წევრებს გააცნო საკითხები ;

1. ,,მდინარე ლასკადურაზე მჟავე წყლის ხიდის და ნაპირსამაგრი კედლების მოწყობა-რეაბილიტაციის პროექტის მოწონების თაობაზე“.

2. ,,სოფელ რცხუმელურში სანიაღვრე არხის მოწყობის პროექტის მოწონების თაობაზე“.

3. ,,სოფელ სასაში ნაკიჩხულაშის უბანში გზის რეაბილიტაციის მოწყობის პროექტის მოწონების თაობაზე“.

აზრი გამოთქვა: საკრებულოს წევრმა დალი ტვილდიანმა - პირველ პროექტთან **,,მდინარე ლასკადურაზე მჟავე წყლის ხიდის და ნაპირსამაგრი კედლების მოწყობა-რეაბილიტაციის პროექტის მოწონების თაობაზე“**დაკავშირებით -რომ რა თქმა უნდა აუცილებელია ხიდის ბურჯების გამაგრება, მაგრამ აინტერესებ თუ გამაგრებით სამუშაოებში რომელი კოორდინატები იგულისხმება.

მომხსენებელმა განმარტა, რომ ეს არის ინტერნატის შენობის წინა ადგილი, სადაც დაზიანებულია ბეტონები.

აზრი გამოთქვა: დაბის მაჟორიტარმა დეპუტატმა ირაკლი ქურასბედიანმა, რომ მდინარე ლასკადურის კალაპოტის მთელ პერიმეტრზე ხიდებს შორის აუცილებელია გამაგრებითი სამუშაოების ჩატარება, მაგრამ ხომ არ ჯობია კოორექტირება გაკეთდეს პროექტში და გამაგრდეს სტალინის ქუჩის მხარეს ბეტონები, რომელსაც გამოცლილი აქვს საძირკველი და წყალდიდობის შემთხვევაში შეიძლება მდინარე ამოვარდეს კალაპოტიდან და მოგვცეს ძალიან ცუდი შედეგი.

პასუხად მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ამ გადაწყვეტილებას საფუძვლად უდევს ექსპერტიზის დასკვნა, რომ შერჩეული ლოკაცია ყველაზე სანიფათოა, როგორც ასეთი გათვალისწინებული იქნება თქვენი შენიშვნა და მომავალში გამაგრებითი სამუშაოები აუცილებლად უნდა გაგრძელდეს მთელ პერიმეტრზე.

სხდომის თავმჯდომარემ საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

ღია კენჭისყრის შედეგით:

მომხრე - 15

წინააღმდეგი -0

გადაწყვიტეს: მოწონებული იქნას ,,მდინარე ლასკადურაზე მჟავე წყლის ხიდის და ნაპირსამაგრი კედლების მოწყობა-რეაბილიტაციის პროექტი.

მეორე და მესამე პროექტებთან დაკავშირებით შენიშვნები არ ყოფილა და ღია კენჭისყრის შედეგით: მომხრე -15

წინააღმდეგი -0

გადაწყვიტეს: მოწონებული იქნას პროექტები - . ,,სოფელ რცხუმელურში სანიაღვრე არხის მოწყობის პროექტის მოწონების თაობაზე და

,,სოფელ სასაში ნაკიჩხულაშის უბანში გზის რეაბილიტაციის მოწყობის პროექტის მოწონების თაობაზე“.

მომხსენებელმა ზვიად ლობჟანიძემ აღნიშნა, რომ საკრებულოს ბიურომ შეაჩერა საკითხი- სოფ. კახურაში სასოფლო გზის ბეტონის საფარით მოწყობის პროექტის მოწონების თაობაზე და კარგი იქნება თუ არ ჩავაგდებთ ამ პროექტს და დავაყენებთ კენჭისყრაზე.

აღნიშნულ პროექტთან დაკავშირებით საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარემ სოსო ავალიანმა აღნიშნა, რომ კომისიის წევრებმა არ მიიჩნიეს ეს საკითხი სხდომაზე გასატანად , რადგანაც ამ ეტაპზე უფრო აქტუალურია სოფ. გულიდის გზის გაკეთება. გამომდინარე იქედან, რომ სოფელში არის 50 ოჯახი, ბავშვები დადიან ბაგაში და სკოლაში და აქვთ ძალიან ცუდი გზა. სოფ. კახურაში ფაქტიურად არ 6(ექვსი) ოჯახი და შეიძლება ამ ეტაპზე ამ გზის მოხრეშვა.

აზრი გამოთქვა: დაბის მაჟორიტარმა დეპუტატმა ირაკლი ქურასბედიანმა, რომ წლებია დღის წესრიგში დგას სოფ. გულიდის მოსახლეობისთვის გზის გაკეთება, ეს პროექტი გათვლილია 2023 წლის სამოქმედო გეგმაში და მიუხედავად ამისა მაინც არ გაკეთდა და ამ საკითხის ფონზე შემოდის სოფ. კახურის პროექტი, რომელიც არ არის სამოქმედო გეგმაში გათვლილი. მოსახლეობა არის ამ ფაქტტ ძალიან უკმაყოფილო . შესაბამისად, მისთვის როგორც მაჟორიტარი დეპუტატისთვის ეს საკითხი არის მიუღებელი და არ დაუჭერს ამ საკითხს მხარს.

ანალოგიური აზრი დააფიქსირეს ბიუროს წევრებმა მევლუდ ლიპარტელიანმა და ამირან ქურასბედიანმა, რომ სოფ გულიდაში გზა არის ძალიან ციცაბო,სახიფათო. ცუდი და ვიწრო გზის გამო ადგილი ქონდა ავარიას და იყო მსხვერპლი. მიუხედავად მოსახლეობის დაპირებისა ეს საკითხი დარჩა დღემდე მოუგვარებელი და გადასაჭრელი.

აზრი გამოთქვა : სხდომის თავმჯდომარემ გიორგი გაზდელიანმა - რომ ეს პროექტი იდო სამოქმედო გეგმაში და არ შესრულდა. რა თქმა უნდა მივესალმებით თქვენს აქტიურ ჩართულობას ამ პროცესში და ვთვლით , რომ უნდა გაკეთდეს გზ აკახურაშიც. მაგრამ ეს მოხდება ლენტეხი-გულიდის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაციის შემდეგ. ამ ეტაპზე უნდა გაკეთდეს კაპიტალურად გულიდის გზა და მოიხრეშოს კახურის გზა. ამავე დროს გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ ვმუშაობთ პრიორიტეტების დოკუმენტზე და ამ დოკუმენტის მიხედვით შედგება სამოქმედო გეგმა . ამ გეგმის იქეთ რა პროექტიც იქნება მერიის მიერ მომზადებული, პროექტს აუცილებლად უნდა იყოს თანდართული ანოტაცია ამ პროექტის საჭიროებაზე, დაფინანსების წყაროზე და აუცილებლად უნდა იყოს მოსახლეობის ინტერესებზე მორგებული.

4. მოისმინეს: საკრებულოს სოც. საკითხთა კომისიამ სხდომის წევრებს გააცნო საკითხი სიმსივნით დაავადებული სოფ. ლექსურაში მცხოვრები ნანა მეშველიანისთვის დახმარების გაწევის თაობაზე. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ნანა მეშველიანი არის მარტოხელა, მეორე ჯგუფის ინვალიდი. აღმოაჩნდა სარძევე ჯირკვლის სიმსივნე. სჭირდება ძვირად ღირებული გამოკვლევები. კომისიამ განიხილა ნანა მეშველიანის განცხადება და მიიღო გადაწყვეტილება ფინანსური დახმარების გაწევის თაობაზე. ანალოგიური განცხადება შევიდა მერიაში და მერმა წარმოგვიდგინა წინადადება სარეზერვო ფონდიდან 1000 ლარის გაცემის თაობაზე.

სხდომის თავმჯდომარემ საკითხი დააყენა კენჭისყრაზე.

ღია კენჭისყრის შედეგი:

მომხრე -15

წინააღმდეგი -0

გადაწყვიტეს: მიეცეს თანხმობა ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერს ნანა მეშველიანის დასახმარებლად სარეზერვო ფონდიდან გამოყოს 1000(ათასი) ლარი.

საკრებულოს მორიგი სხდომა დამთავრდა 14 საათზე.

გიორგი გაზდელიანი

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი